№2203 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის 2013 წლის 20 დეკემბრის №12 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების მოწონების შესახებ**

1. „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით სადაზღვევო ვაუჩერის თანდართული პირობების“ მე-5 მუხლის $8^1$ და $8^2$ პუნქტებისა და მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, ასევე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შშმ ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შშმპ ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების“ მე-5 მუხლის $5^1$ პუნტის

შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების შესაბამისად შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის 2013 წლის 20 დეკემბრის №12 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებები:

ა) მხარეთა შეთანხმების საფუძვლით, შპს „დაზღვევის კომპანია ქართუს“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებებით განსაზღვრული სადაზღვევო პროგრამებიდან ვადაზე ადრე - 2014 წლის 1 იანვრიდან, გასვლის შესახებ;

ბ) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამის 2014 წლის 1 აპრილიდან შეწყვეტისა და გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან, 2014 წლის 1 იანვრიდან, პროგრამაში მოსახლეობის ახალი შენაკადებისა და ძველი დაზღვეულების განახლების შეწყვეტის შესახებ.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, შესაბამის ბენეფიციართათვის/მოსარგებლეთათვის სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილი იქნეს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**